ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 240

“10” ივნისი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5-ში მდებარე 111.62 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5-ში მდებარე 111.62 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N22.837.888 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, აკაკი ხორავას ქუჩა N13-17/ ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N5, ბინა N1, 1-2 სართულზე მდებარე 111.62 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.048.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ნინო ჭიბოშვილისთვის (პ/ნ: 01017003420) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე